ლიმერიკის უნივერსიტეტის საკოლამდელი აღზრდის ცენტრის პოლიტიკის ნაწილი, რომელიც ქცევის პოზიტიური მართვის პრინციპებს შეეხება (University Preschool and Child Care Center Incorporated, Policy handbook)

მასალა დაეხმარება ბაგა–ბაღის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, აღმზრდელებსა და სხვა თანამშრომლებს ბაღში პოზიტიური ქცევის პოლიტიკის დანერგვასა და წარმართვაში

ქცევის მართვის სახელმძღვანელო პოლიტიკა

მიზანი: დაეხმაროს თანამშრომლებს ბავშვის ქცევის მართვის დროს შეინარჩუნონ თანამიმდებრულობა, სამართლიანობა და გონივრული მიდგომები, იმის გათვალისწინებით, რომ უზუნველყოფილი იყოს თბილი, კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო.

მნიშვნელობა: უფროსები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ბავშვების ქცევის ჩამოყალიბების პროცესში, მათ ქცევებზე დაკვირვებით ბავშვები სწავლობენ საზოგადოებაში მოქცევის წესებს.

ქცევის მართვის სახელმძღვანელო ასწავლის ბავშვებს თვითკონტროლს და იმის გაგებას, რა ზეგავლენას ახდენს მათი მოქმედება მათზე და რაც მთავარია, მათ გარშემო მყოფ ადამიანებზე. როდესაც მოლოდინები (რა ტიპის ქცევას, რას ელიან ბავშვისგან) არის მკაფიო და გასაგები, ბავშვების თვითშეფასება უმჯობესდება და ვიღებთ საკუთარ თავში დარწმუნებულ მოზარდებს.

ქცევის მართვის სახელმძღვანელო პოლიტიკა უზრუნველყოფს რომ ყველა თანამშრომელი (მუდმივი და დროებითი) იყოს გარკვეული და თანმიმდევრული იმასთან დაკავშირებით, რამხელა მნიშვნელობა აქვს სწორად შერჩეულ ქცევის მართვის სტრატეგიებს ბავშვისთვის.

რა არის ქცევის მართვის სახელმძღვანელო?

ქცევის მართვის სახელმძღვანელო ზრდასრულებს ურჩევს:

- რისი გაკეთება არის უმჯობესი
- რისი გაკეთება არ არის რეკომენდებული
- რა არის უსაფრთხო
- რა არის მავნებელი
- რა არის სასიამოვნო

აუცილებელია, რომ ნებისმიერ დროს დისციპლინის დამყარების გზები პოზიტიურ გამოცდილებაზე იყოს დაფუძნებული. ამას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც:

- დისციპლინის დამყარების გზები არ დაუზიანებს ბავშვებს საკუთარი თავის რწმენას, მაგრამ წაახალისებს მათ, რომ იყვნენ მიმღებნი, საკუთარ თავში დარწმუნებულები და სასიამოვნოები გარშემომყოფების მიმართ;

- მხეველობაში იქნება მიღებული ბავშის განვითარება და შესაძლებლობები – იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროებები და ქცევა იცვლება ბავშვის ზრდასთან ერთად;
- შექებული და დაჯილდოებული იქნება სასურველი ქცევა;
- აღმზრდელი გამოიყენებს პოზიტიურ მითითებებს. მაგალთად, ,,შემოდი შიგნით“ – ნაცვლად ფრაზისა, ,,არ შემოირბინო“
- აღმზრდელი იძლევა მარტივ ინსტრუქციებს, ბავშვს ალტერნატივებს სთავაზობს ისე, რომ ბავშვმა გააკეთოს შეფასება და აქედან გამომდინარე გაცნობიერებული არჩევანი;
- აღმზრდელის ქცევა სამაგალითოა;
- აღმზრდელი თანმიმდევრულია;
- ბავშვის აღზრდა დაფუძნებულია თვითკონტროლზე და არა იძულებაზე;
- ბავშვთან ურთიერთობის დროს მიზანია თვითკონტროლის მიღწევა იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის გრძლევადიანი პროცესი;
- მხედველობაში იქნება მიღებული როგორც სწავლის გამოცდილება, ისე ბავშვის განვითარების ძლიერი მხარეები;

სტრატეგიები: იმისათვის, რომ ქცევის მართვის სახელმძღვანელო იყოს ეფექტური, მნიშვნელოვანია, ბაღის გარემო ორგანიზებული იყოს ისე, რომ მაქსიმალურად მოხდეს ისეთი შემთხვევების პრევენცია, სადაც საჭირო იქნება წესრიგის აღმდგენი ღონისძიებების გამოყენება.

სტრატეგიები, რომელიც გამოიყენება თანამშრომლების მიერ:

- ყალიბდება ნდობა და პატივისცემა ყველა ბავშვის მიმართ – ისინი უფრო მეტი სიამოვნებით რეაგირებენ, თუ იციან, რომ ჩვენ ისინი მოგვწონს;
- უზრუნველყოფილია ყველა ბავშვის მიმართ თანასწორი მოპყრობა. აღნიშნული მოთხოვნა სახეზე უნდა იყოს როგორც იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც რეგულარულად გამოირჩევიან სასურველი ქცევით, და არ საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას ქცევის მართვის კუთხით, ისე იმათ მიმართ, ვინც გამოირჩევიან გამომწვევი ქცევით;
- ბაღი ისე არის ორგანიზებული, რომ მინიმუმადე დაიყვანოს ,,თვითდამაზიანებელი“ ქცევა. მაგალითად, საკმარისი და მრავალფეროვანი აღჭურვილობა/სათამაშოები მიეწოდება ყველა ასაკობრივ ჯგუფს;
- აქტივობები ისე იგეგმება, რომ ისინი მაქსიმალურად მშვიდია, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი შფოთვა და დაღლილობა;
- ბავშვები ყოველი აქტივობის დასაწყებად და დასასრულებლად უნდა იყვნენ მომზადებულები. აუცილებელია, მიეცეთ შესაბამისი ინსტრუქცია/მინიშნება აქტივობების ცვლილებასთან დაკავშირებით;

- ქცევების მოდელირებით უნდა ვაჩვენოთ ბავშვებს, რისი გაკეთებაც გვსურს მათგან. მაგალითად, ვუზრუნველყოთ მათთვის ზრუნვაზე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩვენება, ვესაუბროთ თბილად ბავშვებს და სხვა თანამშრომლებს, მოვუსმინოთ, რას ამბობენ ბავშვები, მხედველობაში მივიღოთ სხვების გრძნობები და შეხედულებები;

- ყურადღება გაამახვილეთ ქცევაზე, რომლის მიღწევაც გსურთ და შეუქეთ კონკრეტულად: ,,ძალიან კარგად დაელოდე შენს რიგს", ,, ძალიან კეთილი ნაბიჯი იყო შენი მხრიდან, როდესაც დაეხმარე ლუკას ფეხსაცმლის პოვნაში";

- მოერიდეთ ფრზების გამოყენებას: ,,ნუ" და ,,არა";

- მუდმივად გაითვალისწინეთ ბავშვის განვითარებიდან გამომდინარე საჭიროებები, შესაძლებლობები და ქცევები. მხედველობაში იქონიეთ მისი გამომწვევი შესაძლო მიზეზები და საფუძვლები;

- განიხილეთ მისაღები ქცევები ჯგუფში;

როდესაც წინასწარ დაგეგმილი სტრატეგიები არ მუშაობს:

გარდაუვალად, იქნება ისეთი მომენტები, როდესაც ბავშვის ქცევა იქნება შეუსაბამო და საჭირო იქნება ინტერვენცია;

პირველ ეტაპზე ეცადეთ სიტუაციის გადატანას/განმუხტვას – გადაიტანეთ ბავშვის ყურადღება სხვა საკითხზე. მაგალითად, ბავშვი დაჯდომის წინააღმდეგია... (მიანიშნეთ სკამზე) "მარი, შენი ადგილი არის აქ, ლუკას გვერდით" ან თუ ბავშვი ყრის ქვიშას... ,,მოდი, ავავსოთ ეს ვედრო ბოლომდე და შემდეგ შეგვიძლია გადმოვყაროთ უკან" ან როდესაც თოჯინების კუთხეში თამაში იძაბება...,, რა გვაქვს სადილზე? ნეტა,უკვე მზად არის? მომშივდა...."

გამოიყენეთ ინსტუქცია – ,,გააკეთე" ,,არ გააკეთო" – ს ნაცვლად. მიეცით ისეთი მარტივი, მოკლე ინსტრუქციები, რომ ბავშვს შეეძლოს მათი აღქმა და შემდეგ შეეძლოს მათი დამოუკიდებლად შესრულება. მაგალითად, ,,სირბილი კარგია, მაგრამ გარეთ და არა შინგნით – ძალიან ბევრი სათამაშოა იატაკზე და შენ შეიძლება ფეხი გაგისრიალდეს და დაშავდე ან გააფუჭო ვინმეს ნამუშევარი", ან ,,კარგია ჩუმად და მშვიდად საუბარი, არ უნდა იყო უხეში ან ფიცხი – ეს აზიანებს გარშემომყოფებს"

გამოიყენეთ მტკიცე, მშვიდი მანერები იმის საჩვენებლად, რას მოელით ბავშვისგან – თქვენი სურვილები ბავშვის წინაშე წარადგინეთ არჩევანის გაკეთების საშუალებით. მაგალითად, "შენ შეგიძლიათ დარჩე ქვიშის ყუთში და ითამაშოთ მშვიდად, ან შეგიძლია გაისეირნო სასწიალოსკენ და დაბრუნდე ქვიშის ყუთთან, როდესაც დამშვიდდები".

წინასწარ უნდა გქონდეთ განსაზღვრული, რა ღონისძიებებს გამოიყენებთ, როდესაც ბავშვი ამჟღავნებს არასასურველ ქცევას. მაგალითად, პრივილეგიებზე უარი, სიტუაციიდან გარიდება, სათამაშოების დალაგება, ტაიმაუტი.

მიყევით საბოლოო შედეგემდე - თუ ბავშვი ამბობს ,,სულ ერთია" (არ მადარდებს) - ცხადად აგრძნობინეთ, რომ თქვენთვის არ არის სულ ერთი (თქვენ გადარდებთ). მაგალითად, ,,ჩემთვის არ არის სულ ერთი - არ მინდა რომ კიდევ ერთი ბავშვი ვნახო ატირებული". განაგრძეთ იმით, რომ გამოარიდეთ ეს ბავშვი მოცემული სიტუაციიდან, მიეცით ბავშვს მარტო თამაშის საშუალება. როცა თქვენ და ბავშვი დამშვიდდებით, დაუბრუნდით ბავშვს და ისაუბრეთ თემაზე ხელმეორედ - ან, თუ ბავშვი ძალიან გაბრაზებულია, დაუჯექით მას, აგრძნობიეთ, რომ გინდათ, მას თქვენი სჯეროდეს.

როდესაც სიტუაცია განიმუხტება – აუცილებელია, სახლში წასვლამდე აღდგეს პოზიტიური ურთიერთობა თქვენსა და ბავშვს შორის. მაგალითად, წაუკითხეთ ზღაპარი, კომენტარი გააკეთეთ პოზიციური ქცევაზე, რომელსაც ბავშვი განახორციელებს.

თავისუფალი დრო – ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია, რომ ბავშვებს დამშვიდებისათვს მიეცეთ თავისუფალი დრო. ქცევის მართვის სახელმძღვანელოს მიხედვით, თავისუფალი დრო არ ითვალისწინებს ბავშვის გაყვანას ოთახიდან ან იმ გარემოდან, სადაც ის იმყოფებოდა. ის გულისხმობს ბავშვის მოცილებას აქტივობიდან ან ბავშვების ჯგუფიდან, სადაც ის იყო არასასურველი ქცევის განხორციელების დროს. შესაძლებელია, ბავშვს უთხრათ, რომ დაჯდეს ჩუმად რომელიმე თანამშრომელთან ერთად ან გააგზავნოთ ოთახის მშვიდ კუთხეში და უთხრათ, რომ იფიქროს იმაზე, რატომ ხართ იძულებული, გამოიყენონ ეს მოქმედება. იმისათვის, რომ მაქსიმალური ეფექტი იყოს მიღწეული, თავისუფალი დრო უნდა გაგრძელდეს მცირე დროის განმავლობაში. დროის ხანგრძლიობის განსაზღვრისას შესაძლებელია, გათვალისწინებული იყოს ბავშვის ასაკი. მგალითად, ერთი წუთი თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის (მაქსიმუმ ხუთი წუთი). ამის შემდეგ ბავშვს უნდა უთხრათ, განსაზღვროს ვერბალურად, რომელ აქტივობაში სურს მონაწილეობა ან რა არის შესაბამისი ქცევა. დარწმუნდით, რომ ბავშვი მონაწილეობს მის მიერ არჩეულ აქტივობაში.

ამასთან მნიშვნელოვანია, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების დონე მხედველობაში იქნას მიღებული ნებისმიერ ეტაპზე.

კონფიდენციალობის დაცვა

არასოდეს ისაუბროთ სხვა ბავშვების ან უფროსების (ვიზიტორები, მშობლები) თანდასწრებით ამა თუ იმ ბავშვზე. ინფორმაცია ბავშვის ქცევის შესახებ არ უნდა იქნას განხილული ბავშვის წინაშე თუნდაც მის მშობელთან. უნდა მოხდეს ბავშვის გარიდება ამ სიტუაციიდან ან მოხდეს პირადი შეხვედრის ორგანიზება.

კონკრეტული შეუსაბამო ქცევები

1.დარტყმა, მუშტით ცემა, წიხლის დარტყმა, დაჩხაპნა, დაკაწვრა, თავდასხმა, ნივთების სროლა

დაუთმეთ ყურადღება დაზარალებულ ბავშვს (დაუძახეთ სხვა თანამშრომლეს საჭიროების შემთხვევაში)

ბავშვს, რომელმაც განახორციელა შეუსაბამო ქცევა ესაუბრეთ პირადად. აუხსენით, რა არის შეუსაბამო ქცევა და რატომ (დააკავეთ ბავშვი საჭიროების შემთხვევაში). მაგალითად, "შენ არ შეგიძლია დაარტყა ნიკას იმიტომ რომ ეს მტკივნეულია მისთვის" ან ,,არ შემიძლია მოგცე დარტყმის უფლება, შენ აზიანებ ბავშვებს და მე არ შემიძლია მოგცე ამის უფლება"

თუ ბავშვი რაიმეს ამტვრევს და ა.შ. ...მოარიდეთ ის სხვა ბავშვებს. დადექით მის სიახლოვეს და როცა დამშვიდდება, შეგიძლიათ, შემოხვიოთ ხელი და დაარწმუნოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

გამოიყენეთ დამშვიდების თავისუფალი დრო, რათა ბავშვს მიეცეს დამშვიდებისა და საკუთარ მოქმედებაზე დაფიქრების საშუალება.

2.კბენა

დაამშვიდეთ დაშავებული ბავშვი – დაუძახეთ სხვა თანამშრომელს საჭიროების შემთხვევაში. ყურადღება გამოიჩინეთ დაშავებული ბავშვისადმი და დააინტერესეთ სხვა აქტივობით.

0–3 წლის ბავშვეთან: გამოიყენე ვერბალური ახსნა – განმარტება, იხმარეთ მარტივი სიტყვები.

3–5 წლის ბავშვებთან: გამოიყენეთ ტაიმ–აუტი

- აუხსენით, რატომ არის მისი ქცევა შეუსაბამო – ,,არ მოგცემ კბენის უფლებას. ის მტკივნეულია. მე მსურს ბავშვები იყვნენ აქ უსაფრთხოდ"
- დამამშვიდებელი აქტივობა – სხვა აქტივობაში ჩართვა
- განამტკიცეთ მისაღები ქცევა

3. გინება

გაუკეთეთ იგნორირება, თუ სიტუაცია ამის საშუალებას იძლევა (მაგალითად, სხვა ბავშვებს არ ესმით)

გააგებინეთ ბავშვს, რომ თქვენ ეს არ მოგწონთ. მაგალითად: ,,არ მომწონს, როდესაც ვისმენ ამ სიტყვებს"

აუხსენით, რომ არ იყენებთ ამ სიტყვებს ბაღსი.

4.გადაფურთხება

შეაჩერეთ ბავშვი, რომელიც იფურთხება და უთხარით: ,,არ მოგცემ უფლებას აქ გადააფურთხო. თუ გადაფურთხება გინდა, გააკეთე ეს ტუალეტში ან ხელსახოცში. უთხარით, სად შეიძლება გადაფურთხება და რომ ეს მიუღებელია საზოგადოებაში.

5.რა უნდა გავაკეთოთ, როდესაც ბავშვი უარს ამბობს ამა თუ იმ აქტივობაში ჩართვაზე:

- შეაფასეთ ვითარება

- მიიღეთ ისინი ისეთები, როგორებიც არიან. ნათლად აუხსენით, რომ ყოველთვის დაეხმარებით, თუ მათ ამის სურვილი გაუჩნდებთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, არ დააძალოთ. ბავშვები ჩვეულებრივ დადებითად რეაგირებენ, როდესაც თქვენ ეუბნებით: ,,თუ გსრუთ ცოტა ხნით ყურება, პრობლემა არ არის... და თუ გსურთ დახმარება ან საუბარი, მე შენს გვერდით ვარ და მომმართე, როცა მზად იქნებით".

ბავშვის მახასიათებლები:

ქცევის მართვა იწყება ბავშვის დაბადების მომენტიდან **(0–1 წელი)**. ამ ასაკის ბავშვის მზრუველები მზად უნდა იყვნენ ყურადღების მაქსიმალური კონბაღაციისთვის.

ცოტა უფრო მოზრდილი ბავშვები **(1–3 წლები)** უფრო მეტად ეგობაღულები არიან – სამყარო ტრიალებს მხოლოდ მათ გარშემო. ისინი არ ითვალისწინებენ სხვების საჭიროებებს, უფლებებსა და გრძნობებს მაშინაც კი, როდესაც ტკენენ ან შეურაცხყოფენ სხვებს. ისინი ჩვეულებრივ ყველაფერს აკეთებენ გაუცნობიერებლად. ამ ასაკის ბავშვები ხშირად ზიანს აყენებენ სხვებს ისე, რომ რეალურად კარგი განზრახვა ქონდათ. მაგალითად, ორი წლის ბავშვი აძლევს სათამაშოს ატირებულ ბავშვს თავში მისი ჩარტყმით. ამ ასაკის ბავშვები სამყაროს შეისწავლიან საკუთარი გამოცდილებით. სამ წლამდე ბავშვებისათვის დამახასიათებელია ნებისყოფისა და თვითკონტროლის ნაკლებობა (არ შეუძლიათ ადილად გაჩერება). ბევრი მოქმედება, რომელიც ფასდება როგორც აგრესიული და იმპულსური, გამოწვეულია ბავშვის უუნრობით შეზღუდოს ან შეწყვიტოს ის.

შესაბამისად, ჩვენ არ უნდა მოველოდეთ, რომ ისინი ითამაშებენ სხვებთან ერთად ან გაუზიარებენ ერთმანეთ სათამაშოებს. ჩვენ შეგვიძლია თავიდან ავირიდოთ კონფლიქი მათი სიტუაციიდან გარიდებით და იმის უზრუნველყოფით, რომ ხელმისაწვდომი იყოს საკმარისი რაოდენობის სათამაშო ყველა ბავშვისათვის. ქცევის გამო უკმაყოფილება შესაძლებელია გამოიხატოს მომვლელის ხმის ტონში და მანერაში და შეესაბამებოდეს სიტუაციებს, რომელიც რეალურად მოხდა. მაგალითად, კბენა, დარტყმა.

3 – 5 წლის ბავშვებმა იციან უფრო მეტი შესაბამისი ქცევის შესახებ, უფრო მეტად შეუძლიათ თვითკონტროლი, აქვთ საკმარისი უნარები ვერბალური კომუნიკაციის გამოყენებისათვის, შეუძლიათ გაიგონ ვერბარულად მიცემული ინსტუქციები, არიან ნაკლებად ეგობაღულები პატარა ასაკის ბავშვებთან შედარებით.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გამომწვევი ქცევის მართვის პრინციპები

მიზნები: უზრუნველყოს თანამშრომლები სრულყოფილი ინსტრუქციებით იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ბავშვს აღენიშნება გამომწვევი ქცევა დროის გარკვეულ პერიოდში, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სხვა ბავშვებისა და ბაღის თანამშრომლების დაზიანება.

განმარტება: ასეთი ქცევა მოიცავს აგრესიულ ქცევებს, როგორებიცაა: დარტყმა, კბენა, ხელის კვრა, გინება და შესაძლებელია იყოს ბავშვის განვითარების ეტაპის მახასიათებელი ან გარემო პირობების, ფსიქოლოგიური და ემოციური ფაქტორებით გამოწვეული.

აღნიშნული პროცედურები არის როგორც დამატება ქცევის მართვის სახელმძღვანელოში და გამოიყენება, როდესაც სახეზეა ისეთი გამომწვევი ქცევები, რომელთა აღმოფხვრისათვის უკვე გამოყენებულია ქცევის მართვის სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში აღწერილი სტრატეგიები.

განხორციელება:

1.ნებისმიერ დროს თანამშრომელმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რა იქნება კონკრეტული ბავშვისა და ჯგუფში არსებული ბავშვებისთვის საუკეთესო ინტერესი და შესთავაზოს მშობლებს მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე დახმარება

2.თანამშრომლებმა ნებისმიერ დროს უნდა უზრუნველყონ, რომ მშობლებს მიაწოდონ ინფორმაცია ბავშვის ქცევისა და განვითარების საკითხებზე.

3.თანამშრომლები ცდილობენ, რომ ქცევის მართვის სტრატეგიების მოდიფიცირება გააკეთონ ბაღის მიერ მიღებული ქცევის მართვის სახელმძღვანელოს საფუძველზე და მხედველობაში მიიღონ ინდივიდუალური ბავშვის განნვითარების ეტაპები და ჯგუფში არსებული სხვა ბავშვების საჭიროებები.

4.თუ არასასურველი ქცევა არის ხშირი, შემთხვევები არასათანადო ქცევის შესახებ უნდა იყოს ჩაწერილი ქცევის გამომწვევი მიზეზების აღრიცხვის მიზნით. მსგავსი დაკვირვებები ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის მიერ, ვინც ახორციელებს მას და დადასტუდებული კიდევ ერთი თანამშრომლის მიერ. თანამშრომელმა გამომწვევი ქცევის და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ უნდა აცნობოს ასევე დირექტორს.

5.დირექტორი ამის შემდეგ უკავშირდება მშობლებს და ორგანიზებას უკეთებს მათთან შეხვედრას. აღნიშნულ პროცესში დირექტორის, ჯგუფის ლიდერისა და ბავშვზე ზრუნვაში მონაწილე სხვა თანამშრომლების ჩართვა აუცილეელია. ასეთი შეხვედრის გამართვა სავალდებულოა ორი კვირის განმავლობაში მას შემდეგ, რაც დირექტორისთვის ცნობილი გახდება გამომწვევი ქცევის შესახებ. შეხვედრის დროს მშობლემა უნდა მიაწოდონ შეხვედრის მონაწილეებს ყველა ის დამატებითი ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ბავშვის ქცევის გამომწვევი მიზეზების დადგენა. ასევე უნდა იქნას განხილული შესაბამისი სტრატეგიები ქცევის მართვისთვის, რათა მოხდეს მისი თანმიმდევრული განხორციელება სახლსა და ბაღში. აღნიშნული სტრატეგიები შესაძლებელია მოიცავდეს ძიების გზებს დამატებითი დახმარებისთვის, რესურსების მოძიებას სხვა, გარეშე სააგენტობიდან. შეხვედრაზე ასევე უნდა მოხდეს შემდეგი შეხვედრის ორგანიზება, რომელიც სასურველია გაიმართოს პირველი შეხვედრიდან სამი კვირის განმავლობაში.

6.მას შემდეგ რაც პეროსნალი და მშობლები შეთახმდებიან ქცევის მართვასთან დაკავშირებულ სტრატეგიაზე, ყველა თანამშრომელი, რომელიც ბავშვზე ზრუნვაში არის ჩართული, ინფორმირებული უნდა იყოს მის შესახებ. ბაღის თანამშრომლებმა ბავშვის ქცევას მუდმივად უნდა გაუწიონ მონიტორინგი და მოახდინონ გამომწვევი ქცევის აღრიცხვა. ასეთი ჩანაწერების არსებობა გახდება შეფასების ინდიკატორი, როდესაც მოხდება გამომწვევი ქცევის შემცირება.

შენიშვნა: მნიშნელოვანია, რომ მუდმივად განხორციელედეს მონიტორინგი ბაღსა და ოჯახში. თუ მშობელი განიცდის სირთულეებს სტრატეგიაში არსებული საკითხების სახლის გარემოში განხორციელებისას, მათ ეს უნდა განიხილონ ჯგუფის

ლიდერთან ან დირექტორთან პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში და არ დაელოდონ მეორე შეხვედრას.

7.თუ თანამშრომლები ჩათვლიან, რომ ბავშვი საკუთარი თავისთვის, თანამშრომელბისათვის ან სხვა ბავშვებისათვის დამაზიანებელია, უნდა მოხდეს ოჯახთან დაკავშირება და მისი სახლში წაყვანა. სანამ აღნიშნული მოქმედება განხორციელდება, აუცილებელია გამომწვევი ქცევის შეფასება წერილობითი ფორმით და ორი თანამშრომლის შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილით იქნება დადასტურებული.

8.თუ მშობელთან მეორე შეხვედრაზე არ იქნება პროგრესი დაფიქსირებული, შესაძლებელია, მხედველობაში იქნას მიღებული სხვა ალტერნატივები. ეს შესაძლებელია მოიცავდეს ბავშვის რეფერირებას სხვა სააგენტოში შეფასებისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა მხედველობაში მისაღები ჯანმრთელობის სხვა ფაქტორების გავლენა ქცევაზე ან/და იმის გათვალისწინებით, რომ მოხდეს ალტერნატიული ზრუნვა ბავშვზე ყველა ან გარკვეული დღეების გათვალისწინებით.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ინკლუზია

მიზნები: უზრუნველყოფილი იყოს: დამატებითი საჭიროების მქონე ბავშვების ბაღში ინტეგრაცია ისე, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სტრესული სიტუაციები, თანამშრომლები იყვნენ განსაკუთრებულად ყურადღებიანები ბავშვის საჭირობების მიმართ, ჯგუფის სხვა ბავშვებზე უარყოფითი ზემოქმედება ახალი ბავშვის ჩართვით მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

ბაღი მიზნად ისახავს ყველა ბავშვის ინდივიდუალური საჭიროების დაკმაყოფილებას. როდესაც ბავშვი დამატებითი საჭიროებებით მოდის ბაღში, მან შეიძლება მოითხოვოს უფრო მეტი ზრუნვა და ყურადღება, განსაკუთრებით ადრეული ინტერვენციის პერიოდში. ბაღში მუშაობა დაფუძნებულია შემდეგზე:

- ბავშვს მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს ბაღს, მის თანამშრომლებსა და ბავშვებს;
- უზუნველყოს პერსონალი იმის შესაძლებლობით, რომ გაიღრმავოს ცოდნა ბავშვის საჭიროებებთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოს რომ ნებისმიერი სახის დარღვევები, რომლებსაც შესაძლებელია ადგილი ქონდეს დამატებითი საჭიროების მქონე ბავშვის ბაღში ჩართვის შემდეგ, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი;
- განუმარტონ სხვა ბავშვებს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის განსაკუთრებული შესაძლებლობები და წაახალისონ მათი მხარდაჭერა;

თუ ბავშვის ბაღში ჩართვის ნებისმიერ ეტაპზე, საჭირო გახდა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, ბაღი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს მშობელს/ მზრუნველს, სხვა პირებს, რომლებიც ჩართულები არიან ბავშვზე ზრუნვაში და სხვა სპეციალიეტებს, რათა მოხდეს პრობლემის ეფექტური და დროული გადაჭრა.

როდესაც ბავშვის გადამისამართება ხდება ბაღში, ბაღის დირექტორმა უნდა შეაგროვოს ყველა ცნობილი ფაქტი ბავშვის დამატებითი საჭიროებების შესახებ. მან

უნდა გამართოს თანამშრომლებთან როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური შეხვედრა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების მიზნით. თანამშრომლებს უნდა მიეცეთ განსაზღრული დრო მიწოდებული ფაქტების განხილვისათვის. თუ საჭიროება მოითხოვს დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებულ იქნას განხილვებისა და შეხვედრების წყალობით, რა დროსაც მოხდება სხვა სპეციალისტებისა და ბაღის თანამშრომელობის ჩართვა.

საჭიროების შემთხვევაში შეხევდრა უნდა გაიმართოს ბაღის წარმომომადგელებს (შესაბამისი თანამშრომლები და დირექტორი), ბავშვის ოჯახს და სხვა პროფესიონალების შორის, რომლებიც მონაწილეობენ ბავშვზე ზრუნვაში. აღნიშნულ შეხვედრაზე ისეთი გეგმა უნდა შემუშავდეს, რომელიც ყველაზე უკეთ დააკმაყოფილებს ბავშვის, ოჯახისა და ბაღის ინტერესებს. გეგმა გულისხმობს შემდეგი საკითხების განსაზღვრას:

- სპეციალური მოთხოვნები
- მოვლის განსხვავებული ღონისძიებები

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული შეხვედრა შესაძლებლია ჩატარდეს ნაკლებად ფორმალურ გარემოში თუ დირექტორი და თანამშრომლები ამას მიზანშეწონილად ჩათვლიან.

საწყის ეტაპზე უნდა შეიქმნას და მოხდეს ხელშეკრულების გაფორმება ბაღსა და მშობელს/მეურვეს შორის. აღნიშნული შეთანხმება უნდა მოიცავდეს პროგრამის განხორციელების ეტაპებს, მიღწეული შედეგების მიმოხილვისა და სხვა სპეციალურ პირობებს.

დაკვირვების პერიოდში, სიფრთხილე უნდა იქნას გამოჩენილი მიღწეული შედეგების მიმოხილვისას.

მიღწეული შედეგების განხილვა უნდა გაიმართოს დაკვირვების პერიოდის შემდეგ, რათა მოხდეს პროგრესის შეფასება, დაიგეგმოს მომავალი აქტივობები და სხვა. თანამშრომლებს უნდა მიეცეთ დამატებითი დრო შეკითხვებისათვის და მომავალი ტრენინგების დაგეგმვისათვის.

მიღწეული შედეგების მიმოხილვის შემდეგ, როცა ეს საჭირო იქნება, დასწრების საათები შესაძლებელია გაიზარდოს. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად მზად არიან თანამშრომლები და ბავშვი ამისთვის.

რეკომენდებულია, რომ რეგულარული მიმოხილვა ხდებოდეს სულ მცირე სამ თვეში ერთხელ ყველა მიმდინარე საჭიროების შეფასების მიზნით.